**„ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“**
**სააქციო საზოგადოება**

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2020

**შინაარსი**


| | |
|---|---|
| ფინანსური ანგარიშგება | გვერდი |
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა | ii-iv |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 1 |
| მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 2 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 3 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება | 4 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 5-28 |

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ კომპანიის აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

**დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

**პირობითი მოსაზრება**

ჩავატარეთ სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი-ს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფასს-ების შესაბამისად, არ ასახავს საკუთრებაში არსებული და თვითღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციას, როგორც ეს მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 40 „საინვესტიციო ქონება“-ით. აღნიშნული წარმოადგენს ბასს 40 „საინვესტიციო ქონება“-ის მოთხოვნის დარღვევას რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.* ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

***სხვა ინფორმაცია***

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობით ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ

შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობითი ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე –6 მუხლის მე –7 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილი, რომელიც თარიღდება 2021 წლის 29 აპრილით.

**ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

კომპანიისს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიისს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიისს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელი არის კომპანიისს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე, ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

29 აპრილი 2021
არესემ საქართველოს სახელით
მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

29 აპრილი 2021
არესემ საქართველოს სახელით
მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia

**სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“**
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
**ქართულ ლარში**

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|---|
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 5 | 6,302,942 | 6,245,288 |
| არამატერიალური აქტივები | | 12,741 | 7,876 |
| საინვესტიციო ქონება | 6 | 7,844,766 | 7,983,246 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | , | **14,160,449** | **14,236,410** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 7 | 799,576 | 735,509 |
| ნედლეული და მასალები | 8 | 346,818 | 234,915 |
| ვადიანი დეპოზიტები საბანკო დაწესებულებებში | 9 | 9,194,414 | 6,906,590 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 10 | 467,977 | 435,450 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **10,808,785** | **8,312,464** |
| **სულ აქტივები** | | **24,969,234** | **22,548,874** |
| კაპიტალი და ვალდებულებები | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 16 | 116,513 | 116,513 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 16 | (531,680) | (531,680) |
| გაუნაწილებელი მოგება | | 25,328,020 | 22,818,573 |
| **სულ კაპიტალი** | | **24,912,853** | **22,403,406** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები | | 34,036 | 48,932 |
| გადასახდელი გადასახადები | | 22,345 | 51,085 |
| გადასახდელი ხელფასები | | - | 45,451 |
| **სულ ვალდებულებები** | | **56,381** | **145,468** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **24,969,234** | **22,548,874** |

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 29 აპრილი

| | |
|---|---|
| ვასილ მენთეშაშვილი | თამარ რობიტაშვილი |
| გენერალური დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|---|
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 5 | 6,302,942 | 6,245,288 |
| არამატერიალური აქტივები | | 12,741 | 7,876 |
| საინვესტიციო ქონება | 6 | 7,844,766 | 7,983,246 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **14,160,449** | **14,236,410** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 7 | 799,576 | 735,509 |
| ნედლეული და მასალები | 8 | 346,818 | 234,915 |
| ვადიანი დეპოზიტები საბანკო დაწესებულებებში | 9 | 9,194,414 | 6,906,590 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 10 | 467,977 | 435,450 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **10,808,785** | **8,312,464** |
| **სულ აქტივები** | | **24,969,234** | **22,548,874** |
| კაპიტალი და ვალდებულებები | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 16 | 116,513 | 116,513 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 16 | (531,680) | (531,680) |
| გაუნაწილებელი მოგება | | 25,328,020 | 22,818,573 |
| **სულ კაპიტალი** | | **24,912,853** | **22,403,406** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები | | 34,036 | 48,932 |
| გადასახდელი გადასახადები | | 22,345 | 51,085 |
| გადასახდელი ხელფასები | | - | 45,451 |
| **სულ ვალდებულებები** | | **56,381** | **145,468** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **24,969,234** | **22,548,874** |

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 29 აპრილი

ვასილ მენთეშაშვილი
გენერალური დირექტორი

თამარ რობიტაშვილი
მთავარი ბუღალტერი

**სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“**
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
**ქართულ ლარში**

## მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2020 | 2019 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 11 | 3,710,712 | 4,538,949 |
| გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება | 12 | (853,962) | (893,025) |
| **წმინდა საოპერაციო შემოსავალი** | | **2,856,750** | **3,645,924** |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 13 | (1,647,631) | (1,716,028) |
| ფინანსური შემოსავალი | 14 | 1,303,697 | 576,139 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) | | (3,369) | (92,383) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **2,509,447** | **2,413,652** |
| მოგების გადასახადი | 15 | - | - |
| **წმინდა მოგება** | | **2,509,447** | **2,413,652** |
| **წლის სხვა სრული შემოსავალი** | | | **-** |
| **წლის სრული შემოსავალი** | | **2,509,447** | **2,413,652** |
| **შემოსავალი ერთ აქციაზე** | 16 | **28.00** | **26.93** |

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | შენიშვნა | სააქციო კაპიტალი | გამოსყიდული საკუთარი აქციები | გაუნაწილებელი მოგება | სულ საკუთარი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის** | **16** | **116,513** | **(531,680)** | **20,404,921** | **19,989,754** |
| წმინდა მოგება | | - | - | 2,413,652 | **2,413,652** |
| წლის სხვა სრული შემოსავალი | | - | - | - | - |
| **წლის სრული შემოსავალი** | | **-** | **-** | **2,413,652** | **2,413,652** |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის** | **16** | **116,513** | **(531,680)** | **22,818,573** | **22,403,406** |
| წმინდა მოგება | | **-** | **-** | 2,509,447 | **2,509,447** |
| წლის სხვა სრული შემოსავალი | | - | - | - | - |
| **წლის სრული შემოსავალი** | | | | 2,509,447 | **2,509,447** |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის** | **16** | **116,513** | **(531,680)** | **25,328,020** | **24,912,853** |

**სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“**
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
**ქართულ ლარში**

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2020 | 2019 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| წლის მოგება დაბეგვრამდე | | 2,509,447 | 2,413,652 |
| გაუფასურების რეზერვი ფასს 9-ის ეფექტის | | | - |
| **კორექტირებები:** | | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 5,6,12,13 | 520,142 | 541,050 |
| საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი | 7 | 17,560 | - |
| კურსთაშორის სხვაობა | 14 | (1,056,337) | (384,251) |
| საპროცენტო შემოსავალი | 14 | (247,342) | (183,758) |
| ცვლილებები მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 7 | (50,737) | (341,637) |
| ცვლილებები ვადიანი დეპოზიტები საბანკო დაწესებულებებში | 9 | (1,231,622) | (1,701,482) |
| ცვლილებები ნედლეული და მასალები | 8 | (111,903) | 157,478 |
| ცვლილებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | | (14,896) | 3,550 |
| ცვლილებები გადასახდელი ხელფასები | | (45,451) | 45,451 |
| ცვლილებები გადასახდელი გადასახადები | | (28,740) | (11,377) |
| **სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **260,121** | **538,676** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 5 | (366,385) | (842,423) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | | (5,804) | - |
| საინვესტიციო ქონების შეძენა | 6 | (72,346) | (80,798) |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია / ჩამოწერა | 5 | 354 | 86,831 |
| **სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **(444,181)** | **(836,390)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული პროცენტი | 14 | 243,352 | 153,310 |
| **სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | **243,352** | **153,310** |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით** | **10** | **435,450** | **214,865** |
| წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში | | 59,292 | (144,404) |
| კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე | 14 | (26,765) | 364,989 |
| **ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **10** | **467,977** | **435,450** |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

### კომპანიის შესახებ ინფორმაცია

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ (შემდგომში -,,კომპანია”) დაფუძნდა 1996 წლის 30 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი - 202886172, იურიდიული და ფაქტიური მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N5 / დ. უზნაძის ქ. N16-18.
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინვესტიციო ქონების გაქირავება, ხოლო დამხმარე საქმიანობას - პოლიგრაფიული მომსახურება.

კომპანიაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 53 თანამშრომელი (2019: 64).

ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები.

პირები, რომლებიც აქციონერთა საერთო კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმათა 5%-ს ან მეტს:

| | **31 დეკემბერი 2020** | **31 დეკემბერი 2019** |
|---|---|---|
| ვასილ მენთეშაშვილი | 58.3676% | 58.3676% |
| ალექსანდრე ანჯაფარიძე | 6.0061% | 6.0061% |
| ნინო ჩანტლაძე | 15.9755% | 15.9755% |
| მინორიტარ აქციონერები | 19.6508% | 19.6508% |
| **სულ** | **100%** | **100%** |

### საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომუკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. Covid-19-ით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისმა, კონკრეტულად კი, ეკონომიკური აქტოვობისა და ინვესტიციების შემცირებამ გამოიწვია რისკის პრემიის გაზრდა. ამასთან, პანდემიის გავრცელებასთან და ხანგძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო გაზარდა ფინანსური სტაბილურობის რისკები. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**შეფასების საფუძველი.** ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის რეალურ ღირებულებაზე.

**რეალური ღირებულება.** რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ჰიპოთეტური ოპერაციის შემთხვევაში.

როდესაც ხდება რეალური ღირებულების შეფასება, კომპანია იყენებს საჭაროდ გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

რეალური ღირებულების დადგენისას, გამოყენებული მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობის მიხედვით, იყოფა იერარქიის 3 დონედ:

- დონე 1 - რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის მოქმედ ბაზრებზე კვოტირებული ფასები.
- დონე 2 - რეალური ღირებულება ფასდება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კვოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება საჯაროდ, პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით).
- დონე 3 – რეალური ღირებულება ფასდება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

**სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.** კომპანიის სამუშაო ვალუტა და ამ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

**შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან.** შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცრებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

**სასაქონლო მატერიალური მარაგები.** სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერილაური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და საწარმოო ზედნადებ ხარჯებს, მაგრამ გამორიცხავს სესხის ხარჯებს. ნეტო

სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდგომ.

**ძირითადი საშუალებები.** თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ

დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურეობის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

- შენობა - ნაგებობები 5%;
- მანქანა-დანადგარები 20%, 25%;
- სპეციალური დანადგარები და ინსტრუმენტები 10%, 20%;
- საოფისე ავეჯი და მოწყობილობები 20%;
- სატრანსპორტო საშუალებები; 20%;
- კომპიუტერული აღჭურვილობა 20%.

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**საინვესტიციო ქონება.** საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. საწყისი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

**არამატერიალური აქტივები.** შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში.

**ამორტიზაცია.** არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- პროგრამული უზრინველყოფა 10 წელი;
- სხვა არამატერიალური აქტივები 10 წელი;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

**მფლობელთა კაპიტალი**. მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ რეალურ ღირებულებას.

**ფული და ფულის ექვივალენტები**. ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

**უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.** ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში ფასდება და აღირიცხება სამუშაო ვალუტაში გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორისი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

| | **საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი** | |
|---|---|---|
| | **აშშ დოლარი** | **ევრო** |
| გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 3.2766 | 4.0233 |
| გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2.8677 | 3.2095 |
| საშ. გაცვლ. კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრ. წლისათვის | 3.1097 | 3.5519 |
| საშ. გაცვლ. კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრ. წლისათვის | 2.8192 | 3.1553 |

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

**დივიდენდები.** დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

**გაქვითვა.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთჩარიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

**პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები.** ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

**ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.** საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციული დანახარჯის გათვალისწინებით.

**ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**

**ბიზნესმოდელი.** ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელზე. ბიზნესმოდელის შეფასების დროს კომპანია აფასებს პერიოდის განმავლობაში გაყიდული სავალო ფინანსური ინსტრუმენტების არსებითობას პორტფელის ღირებულებასთან მიმართებაში იმ პირობით, რომ გაყიდვა არ ხდება კრედიტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმიზირებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ მოუხდენია სავალო ფინანსური აქტივების გაყიდვა, მისი ბიზნესმოდელი და შესაბამისად მისი სავალო ფინანსრური აქტივები აკმაყოფილებენ „ამოღებისთვის ფლობილობის“ კრიტერიუმს.

**ფულადი ნაკადების მახასიათებლები.** თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად, კომპანია აფასებს წარმოდგენილია თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით (“SPPI”). შეფასებისას კომპანია განიხილავს შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზო საკრედიტო შეთანახმებას, ე.ი. პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა საბაზო საკრედიტო რისკების და მოგების კოეფიციენტის ასპექტს. თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), კომპანიას არ ჰქონია ასეთი კატეგორიის ფინანსური აქტივები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადახედვა.

**შეფასების კატეგორიები.** სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნესმოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვასა და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის სავალო ფინანსური აქტივები აკმაყოფილებენ ორივე კრიტერიუმს, კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შესაბამის კატეგორიაში და ახორციელებს მის შემდგომ შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

**ამორტიზირებული ღირებულება.** ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ანარიცხი.

**ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი.** ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) წილობრივ/პროცენტულ გამოხატულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების), ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება - ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის დროსაც ფასდება მთლიანი მოსალოდნელი ზარალი აქტივისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება საკრედიტო რისკების მახასიათებლებისა და გადაცილებული დღეების მიხედვით.

**ფინანსური აქტივები - ჩამოწერა.** ფინანსური აქტივების ჩამოწერა ხდება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს მათი ამოღების ყველა პრაქტიკულ საშუალებას და დაასკვნის, რომ არ არსებობს მათი აღდგენის არანაირი გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა ნიშნავს აღიარების შეწყვეტას. მათი ანაზღაურების გონივრული მოლოდინის არ არსებობის მაჩვენებლებია, მათ შორის, კომპანიის ვალის დაფარვის გეგმაში მოვალის მონაწილეობის უუნარობა და 120 დღეზე ზევით პერიოდში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის შეუძლებლობა. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელიც ჯერ კიდევ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას, როდესაც კომპანია ცდილობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურებას, თუმცა არ არსებობს მათი აღდგენის გონივრული მოლოდინი.

**ფინანსური ვალდებულებები**

**ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება.** ფინანსური ვალდებულებები შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

**აღიარების შეწყვეტა.** ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

### 3. სხვა ძალაში შესული ფასს სტანდარტები / მათში ცვლილებები.

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7)
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

კომპანიამ დანერგა შემდეგი სტანდარტები და ცვლილებები რომლებიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ.

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);

### 4. სიახლეები ფასს სტანდარტებში

სიახლეები ფასს სტანდარტებში მოცემულია ქვემოთ. კომპანიას ჯერ არ მიუღია და არ დაუნერგავს ქვემოთ მოყვანილი სიახლეები თავის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

**ფასს-ის ძირითადი ცვლილებები**

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. კომპანია თვლის, რომ ახალი სტანდარტი გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 5. ძირითადი საშუალებები

| | მიწა | მანქანა-დანადგ. | დაუმთ. მშენებლობა | შენობა-ნაგებობა | სპეციალური დანადგარები და ინსტრუმენტები | საოფისე აღჭურვილობა | ავტოსატრანსპორტო საშუალებები | კომპიუტერული აღჭურვილობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ღირებულება** | | | | | | | | | |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,369,755** | **710,663** | **1,277,122** | **1,938,923** | **223,595** | **432,182** | **126,104** | **186,189** | **7,264,533** |
| შეძენა | - | 1,460 | 560,221 | 242,544 | 5,896 | 11,576 | 189 | 20,537 | **842,423** |
| ჩამოწერა | - | - | - | (101,083) | - | - | - | - | **(101,083)** |
| რეკლასიფიკაცია საინვ.ქონებაზე | 9,711 | - | - | - | - | - | - | - | **9,711** |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,379,466** | **712,123** | **1,837,343** | **2,080,384** | **229,491** | **443,758** | **126,293** | **206,726** | **8,015,584** |
| შეძენა | - | 19,650 | 245,682 | 74,116 | 14,281 | 9,873 | - | 2,783 | **366,385** |
| ჩამოწერა | - | - | - | - | - | (9,666) | - | - | **(9,666)** |
| რეკლასიფიკაცია საინვ.ქონებაზე | - | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,379,466** | **731,773** | **2,083,025** | **2,154,500** | **243,771** | **443,965** | **126,293** | **209,509** | **8,372,303** |
| **ცვეთა და გაუფასურება** | | | | | | | | | |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **(333,612)** | **-** | **(396,279)** | **(164,718)** | **(300,721)** | **(83,690)** | **(171,117)** | **(1,450,137)** |
| ცვეთა წლის მანძილზე | - | (127,713) | - | (95,900) | (23,513) | (50,378) | (10,857) | (26,050) | **(334,411)** |
| ჩამოწერილი აქტივის ცვეთა | - | - | - | 14,252 | - | - | - | - | **14,252** |

| | მიწა | მანქანა-დანადგ. | დაუმთ. მშენებლობა | შენობა-ნაგებობა | სპეციალური დანადგარები და ინსტრუმენტები | საოფისე აღჭურვილობა | ავტოსატრანსპორტო საშუალებები | კომპიუტერული აღჭურვილობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **(461,325)** | **-** | **(477,927)** | **(188,231)** | **(351,099)** | **(94,547)** | **(197,167)** | **(1,770,296)** |
| ცვეთა წლის მანძილზე | | (122,267) | - | (105,954) | (21,009) | (42,443) | (10,867) | (5,838) | **(299,065)** |
| ჩამოწერილი აქტივის ცვეთა | | - | - | - | - | 9,313 | - | - | **9,313** |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **(583,592)** | **-** | **(583,881)** | **(209,240)** | **(384,229)** | **(105,414)** | **(203,005)** | **(2,069,361)** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | | | | | |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,369,755** | **377,051** | **1,277,122** | **1,542,644** | **58,877** | **131,461** | **42,414** | **15,072** | **5,814,396** |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,379,466** | **250,798** | **1,837,343** | **1,602,457** | **41,260** | **92,659** | **31,746** | **9,559** | **6,245,288** |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,379,466** | **148,181** | **2,083,025** | **1,570,619** | **34,532** | **59,736** | **20,879** | **6,504** | **6,302,942** |

2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო იპოთეკით დატვირთული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის საერთო ფართობი შეადგენს 9,100 კვ.მ.-ს. ხოლო მასზედ მდებარე შენობა-ნაგებობები - 13,805 კვ.მ.-ს, რომლიდანაც ადმინისტრაციული მიზნებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ფართის წარმოადგენს 3,669 (2019:3,669) კვ.მ, ხოლო საერთო გამოყენების ფართის -1,548 კვ.მ, შენობა-ნაგებობის დარჩენილი ნაწილი 8,588 (2019:8,588) კვ.მ-ის ოდენობით აღრიცხულია, როგორც საინვესტიციო ქონება იხ. შენიშვნა N 6-ში.

## 6. საინვესტიციო ქონება

| | მიწა | შენობა-ნაგებობა | სულ |
|---|---|---|---|
| **ღირებულება** | | | |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,820,245** | **4,105,312** | **9,925,557** |
| შეძენა | - | 80,798 | 80,798 |
| რეკლასიფიკაცია | (9,711) | - | (9,711) |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,810,534** | **4,186,110** | **9,996,644** |
| შეძენა | - | 72,346 | 72,346 |
| რეკლასიფიკაცია | - | - | - |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,810,534** | **4,258,456** | **10,068,990** |
| **ცვეთა და გაუფასურება** | | | |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **(1,807,699)** | **(1,807,699)** |
| ცვეთა წლის მანძილზე | | **(205,699)** | **(205,699)** |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | | **(2,013,398)** | **(2,013,398)** |
| ცვეთა წლის მანძილზე | **-** | (210,826) | (210,826) |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **(2,224,224)** | **(2,224,224)** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,820,245** | **2,297,613** | **8,117,858** |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,810,534** | **2,172,712** | **7,983,246** |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,810,534** | **2,034,232** | **7,844,766** |

2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის საინვესტიციო ქონება არ იყო იპოთეკით დატვირთული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

უძრავი ქონება მდებარეობს ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. N5/ დ. უზნაძის ქ. N16-18. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და მიწა გამოყენებულია როგორც მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად იხ. შენიშვნა N5-ში და ასევე საინვესტიციო ქონებად.

2020 წლის განმავლობაში 3,206 კვ.მ. საინვესტიციო ქონება საბალანსო ღირებულებით 719,165 დროებით არ იყო გაქირავებული.

## 7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

| | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|
| საიჯარო მოთხოვნები | 452,645 | 441,369 |
| მომწოდებელზე გადახდილი ავანსები | 352,711 | 337,224 |
| სხვა მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 42,611 | 14,762 |
| დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი | (48,391) | (57,846) |
| **სულ** | **799,576** | **735,509** |

**განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

მომწოდებელზე გადახდილი ავანსები მოიცავს, სასტუმროს კეთილმოწყობის, დაგეგმარებისა და მართვასთან დაკავშირებულ მომსახურების თანხებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოცემულია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | **31 დეკემბერი 2020** | **31 დეკემბერი 2019** |
|---|---|---|
| 31 დეკემბრის მდგომარეობით | 57,846 | 57,846 |
| გაუფასურების ანარიცხის ზრდა აღიარებული მოგება-ზარალში წლის განმავლობაში | 17,560 | - |
| წლის განმავლობაში აღდგენა | (27,015) | - |
| **სულ გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **48,391** | **57,846** |

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

კომპანია მჭირდრო მონიტორინგს ახორციელებს მოთხოვნების ამოღებისთვის რათა კორონავირუსული პანდემიის გამო მაღალია რისკი და ალბათობა იმისა რომ მოხდეს გადახდის შეფერხება ან არ განხორციელდეს გადახდის. შედეგად 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მოხდა მოსალოდნელი საკრედიტო რისკის გადახედვა და დასარეზერვებელი პროცენტების ზრდა.

კურსთაშორისი სხვაობის გავლენა იხილეთ შენიშნა N 14-ში.

მოთხოვნების ნაშთის ხანდაზმულობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

| **ვადაგადაცილებული დღეები** | **< 30 დღე** | **31-60 დღე** | **61-90 დღე** | **91-180 დღე** | **180 > დღე** | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 490,046 | 2,542 | - | - | 2,668 | **495,256** |
| რეზერვის პროცენტი კოვიდ-ის გავლენის გათვალისწინებით | 3% | 7.5% | 37.5% | 75% | 100% | |
| ანარიცხი | 14,701 | 191 | - | - | 2,668 | **17,560** |

კოვიდ პანდემიიით გამოწვეული სირთულეების და შესაძლო სირთულეების გათვალისწინებით მენეჯმენტმა რეზერვის პროცენტები გაზარდა ყველა კატეგორიისთვის.

მენეჯმენტის მსჯელობის საფუძველზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეზერვი არ შექმნილა.

## 8. ნედლეული და მასალები

| | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|
| ნედლეული და მასალები | 340,546 | 231,213 |
| სხვა მასალები | 6,272 | 3,702 |
| **სულ** | **346,818** | **234,915** |

ნედლეული და მასალები მოიცავს პოლიგრაფიული მასალებს და ასევე სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო მასალებს.

## 9. ვადიანი დეპოზიტები საბანკო დაწესებულებებში

| | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|---|---|
| ვადიანი ანაბარი | 9,117,779 | 6,833,926 |
| მისაღები პროცენტი | 76,635 | 72,664 |
| **სულ** | **9,194,414** | **6,906,590** |

კომპანიას 2020 წლის დასრულებული წლისთვის გახსნილი ჰქონდა 1 წლიანი ანაბრები 2,6% 3%, 3.3% და 1,6% საპროცენტო სარგებლით პროკრედიტ ბანკში. სს პროკრედიტ ბანკის მიმართ მოთხოვნა შეადგენს 76,635 ლარს. საპროცენტო შემოსავლების შესახებ იხილეთ დეტალურად მე-14 განმარტებითი შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა არსებითი განსხვავება ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის.

კურსთაშორის სხვაობის გავლენა იხილეთ განმარტებით შენიშნვა N14-ში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მოკლევადიანი ანაბრები გახსნილი აქვს სს „პროკრედიტ ბანკში“, დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

| ბანკის დასახ. | წლიური საპროც.განაკვ. | ვალუტა | პროცენ. გატანა | ძირის გატანა | ანაბარზე განთავსებული თანხა | მისაღები პროც. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სს „პროკრედიტ“ ბანკი | 3,30% | აშშ დოლარი | ვადის ბოლოს | ვადის ბოლოს | 327,660 | 9,513 |
| სს „პროკრედიტ“ ბანკი | 2,50% | აშშ დოლარი | ვადის ბოლოს | ვადის ბოლოს | 655,320 | 9,534 |
| სს „პროკრედიტ“ ბანკი | 2,60% | აშშ დოლარი | ვადის ბოლოს | ვადის ბოლოს | 3,399,047 | 41,900 |
| სს „პროკრედიტ“ ბანკი | 3% | აშშ დოლარი | ვადის ბოლოს | ვადის ბოლოს | 3,868,141 | 12,068 |
| სს „პროკრედიტ“ ბანკი | 1,60% | ევრო | ვადის ბოლოს | ვადის ბოლოს | 359,804 | 910 |
| სს „პროკრედიტ“ ბანკი | 3,10% | აშშ დოლარი | ვადის ბოლოს | ვადის ბოლოს | 507,807 | 2,710 |
| **სულ** | | | | | **9,117,779** | **76,635** |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მოკლევადიანი ანაბრები გახსნილი აქვს სს „პროკრედიტ ბანკში“, დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

| ბანკის დასახ. | წლიური საპროც.განაკვ. | ვალუტა | პროცენ. გატანა | ძირის გატანა | ანაბარზე განთავსებული თანხა | მისაღები პროც. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სს „თიბისი ბანკი“ | 2,50% | აშშ დოლარი | ვადის ბოლოს | ვადის ბოლოს | 302,758 | 3,308 |
